

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2020 წლის 25 დეკემბერი

ქ. ნინოწმინდა

„ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 18 დეკემბრის №20 დადგენილება „ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 20/12/2019, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.142.016244).

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ვაან აროიანი

დანართი

თავი I

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	12.003.9	12.572,3	6,376.0	6,196,3	7,095.0	7,095.0	-
გადასახადები	6.270.5	5,825,2	5,825,2	-	6,619.0	6,619.0	-
გრანტები	5,174.6	6,376,3	180,0	6,196,3	180.0	180.0	-
სხვა შემოსავლები	558.8	370,8	370,8	-	296.0	296.0	-
II. ხარჯები	4,550.6	5,518.1	5,434.5	83,6	5,419,0	5,419,0	-
შრომის ანაზღაურება	1,491.8	1,336,2	1,336,2	-	1,193,4	1,193,4	-
საქონელი და მომსახურება	874.7	1,327.1	1,243.5	83,6	1,332,7	1,332,7	-
პროცენტი	24.7	165,4	165,4	-	102.2	102.2	-



სუბსიდიები	1,547.9	1,983.8	1,983.8	-	2,101.0	2,101.0	-
გრანტები	47.5	50.0	50.0		35.0	35.0	
სოციალური უზრუნველყოფა	379.3	380.0	380.0	-	409.0	409.0	-
სხვა ხარჯები	184.6	275.7	275.7	-	245.7	245.7	-
III. საოპერაციო საღდო	7,453.3	7,054.2	941.5	6,112.8	1,676.0	1,676.0	-
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	6,688.3	9,483.8	2,994.8	6,489.0	1,563.0	1,563.0	-
ზრდა	6,779.8	9,503.8	3,014.8	6,489.0	1,583.0	1,583.0	-
კლება	91.5	20.0	20.0		20.0	20.0	
V. მთლიანი საღდო	765.0	-2,429.6	-2,053.4	-376.2	113.0	113.0	-
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	740.3	-2,518.1	-2,141.8	-376.2	-	--	--
ზრდა	329.9	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	329.9	-	-		-	-	
კლება	-410.3	2,518.1	2,141.8	376.2	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-410.3	2,518.1	2,141.8	376.2	-	-	-
VII. ვალდებულებების ცვლილება	-24.7	-88.4	- 88.4	-	- 113.0	- 113.0	-
კლება	24.7	88.4	88.4	-	113.0	113.0	-
საშინაო	24.7	88.4	88.4	-	113.0	113.0	-
სესხები	-	88.4	88.4		113.0	113.0	
სხვა კრედიტორული დავალიანებები	24.7	-			-		
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0.0	0,0	0,0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	12,095.4	12,592.3	6,396.0	6,196.3	7,115.0	7,115.0	-
შემოსავლები	12,003.9	12,572.3	6,376.0	6,196.3	7,095.0	7,095.0	-
არაფინანსური აქტივების კლება	91.5	20.0	20.0	-	20.0	20.0	-



გადასახდელები	11,355.1	15,110.4	8,537.8	6,572.6	7,115.0	7,115.0	-
ხარჯები	4,550.6	5,518.1	5,434.5	83.6	5,419.0	5,419.0	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,779.8	9,503.8	3,014.8	6,489.0	1,583.0	1,583.0	-
ვალდებულებების კლება	24.7	88.4	88.4	-	113.0	113.0	-
ნაშთის ცვლილება	740.3	-2,518.1	-2,141.8	-376.2	-	-	-

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 7.095.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	12,003.9	12,572.3	6,376.0	6,196.3	7,095.0	7,095.0	-
გადასახადები	6,270.5	5,825.2	5,825.2	-	6,619.0	6,619.0	-
გრანტები	5,174.6	6,4376.3	180.0	6,196.3	180.0	180.0	-
სხვა შემოსავლები	558.8	370.8	370.8		296.0	296.0	

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 6,619.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	6,270.5	5,825.2	5,825.2	-	6,619.0	6,619.0	-
საშემოსავლო გადასახადი	395.8	-			-		
დამატებითი ღირებულების გადასახადი	2,886.7	2,975.2	2,975.2		3,719.0	3,719.0	
ქონების გადასახადი	2,988.0	2,850.0	2,850.0	-	2,900.0	2,900.0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2,066.9	1,950.0	1,950.0		2,070.0	2,070.0	



უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-				-	-	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.9				-	-	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	535.7	520.0	520.0		530.0	530.0	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	382.5	380.0	380.0		300.0	300.0	

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 180 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
გრანტები	5,174.6	6,376,3	180.0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები			
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	5,174.6	6,376,3	180.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	-		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	211.3	180.0	180.0
კაპიტალური ტრანსფერი			
ფონდის გამოყოფილი ტრანსფერი, მათ შორის :	4,963.3	6,196,3	-
რეგიონების განსახორციელებელი პროექტების ფონდი	4,519.3	5,297,4	-
მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდი		454,9	-
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	444.0	444.0	-

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 296.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	558.8	370,8	296.0
შემოსავლები საკუთრებიდან	121.5	57.0	130.0
პროცენტი	63.0	80.0	70.0
რენტა	58.5	57.0	60.0



საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	188.9	123.3	76.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	165.7	93,3	46.0
სანებართვო მოსაკრებელი	17.7	10.0	11.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	5.2	3.0	3.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	114.0	60,3	
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	28.8	20.0	32.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	23.2	30.0	30.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	157.6	110.5	90.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	90.9	-	

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
 ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 5,419,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	4,550.6	5,518.1	5,434.5	83,6	5,419,0	5,419,0	-
შრომის ანაზღაურება	1,491.8	1,336,2	1,336,2	-	1,193,4	1,193,4	-
საქონელი და მომსახურება	874.7	1,327.1	1,243.5	83,6	1,332,7	1,332,7	-
პროცენტები	24.7	165,4	165,4	-	102.2	102.2	-
სუბსიდიები	1,547.9	1,983,8	1,983,8	-	2,101,0	2,101,0	-
გრანტები	47.5	50.0	50.0	-	35.0	35.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	379.3	380,0	380,0	-	409,0	409,0	-
სხვა ხარჯები	184.6	275.7	275.7	-	245.7	245.7	-

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 1,563,0 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 1,583,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 20.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2019 წლის	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
------------	--	-----------	-----------------	-----------------



		ფაქტი		
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	93.5	67.6	-
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	93.5	67.6	-
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6.686.4	8,805.4	1,583,0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3.603.6	6,124.1	60.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	111.5	104.5	350.0
02 03	გარე განათება	84.7	223.0	-
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	-		-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,294.0	1,721.9	973,0
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	409.7	403,5	-
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	183.0	228,3	200.0
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია			-
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	-		-
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	-		-
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	-		-
04 00	განათლება			
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება			
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა			-
04 03	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა		650,8	-
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი			
05 01	სპორტის სფეროს განვითარება			
05 02	კულტურის სფეროს განვითარება			
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა			-
06 01	ჯანმრთელობის დაცვა			-
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	6.779.8	9,503.8	1,583,0

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	91.5	20.0	20.0
ბირთადი აქტივები	22.8	-	-



არწარმოებული აქტივები	68.7	20.0	20.0
მიწა	68.7	20.0	20.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,134.6	2,604.2	2,464.5
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,109.8	2,350.4	2,249.3
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,109.8	2,250.4	2,139.3
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	100.0	110.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	24.7	253.8	215.2
7.2	თავდაცვა	69.7	71.0	71.0
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	69.7	71.0	71.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	4,210.1	6,794.1	214.5
7.4.5	ტრანსპორტი	4,210.1	6,794.1	214.5
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3,773.4	6,356.1	214.5
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	436.7	438.0	-
7.5	გარემოს დაცვა	255.1	350.0	350.0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	255.1	350.0	350.0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	2,927.4	2,554.4	1,765.0
7.6.1	ბინათმშენებლობა	18.2	40.0	-
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	-	-	-
7.6.3	წყალმომარაგება	111.5	104.5	350.0
7.6.4	გარე განათება	265.4	425.0	242.0
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	2,532.3	1,984.9	1,173.0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	110.9	162.8	139.0
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	110.9	162.8	139.0



7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	791.0	823.0	823.0
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	293.4	290.0	290.0
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	451.8	479.0	479.0
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	45.8	54.0	54.0
7.9	განათლება	484.8	1.383.8	899.0
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	484.8	753.0	899.0
7.9 2	ზოგადი განათლება	-	630.8	-
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	-	630.8	-
7 10	სოციალური დაცვა	371.5	367.0	389.0
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	9.5	10.0	12.0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა			-
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	16.3	27.0	37.0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას			-
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	345.7	330.0	340.0
	სულ	11.355.1	15,110.4	7,115.0

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს - 113.0 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 1,676,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	7.453.3	7,054.2	1,676,0
მთლიანი სალდო	765.0	- 2,429.6	113.0

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	740.3	-2,518.1	-



ზრდა	329.9	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	329.9	-	-
კლება	410.3	2,518.1	-
ვალუტა და დეპოზიტი	410.3	2,518.1	-

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება
 ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს - 0 ათასი ლარით.

თავი II

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1.979,5 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	1,979,5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	214,5
02 01 01	გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის მოვლა -შენახვის ხარჯი	210,0
02 01 02	ხიდების რეაბილიტაცია	-
02 01 03	ქ. ნინოწმინდის შუქნიშნების და ტრაფარეტების დამონტაჟება	4,5
02 01 04	ქ. ნინოწმინდის რაღარების მანტაჟი	-
02 02	წყლის სისტემების განვითარება	350,0
02 02 01	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	350,0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	-
02 03	გარე განათება	242,0
02 03 01	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია	160,0
02 03 02	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	82,0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობექტების და შენობების რეაბილიტაცია	-
02 04 01	მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის და სახურავების რეაბილიტაცია	-
02 04 02	ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	973,0
02 06 01	რიტუალების სახლების, კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია და სპორტული დარბაზის მშენებლობა	973,0



02 06 02	ქ. ნინოწმინდის ტროტუარების კეთილმოწყობა	-
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	-
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	200.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მშენებლობის , რეკონსტრუქციის მოვლა -შენახვის ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		210.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ამ პროექტით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია, გზების მოვლა-შენახვისა და ზამთრის პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 90 კმ სიგრძის ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე გზების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოები: - გზების ორმოული შეკვება.		
მოსალოდნელი შედეგი	მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქ. ნინოწმინდის შუქნიშნების და ტრაფარეტების დამონტაჟება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 03		4.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ქალაქის ადგილობრივი გზების დამონტაჟება შუქნიშნებით. რადგან ქალაქში შეუფერხებელი იყოს მგზავრობა და გადაადგილება.		
მოსალოდნელი შედეგი	სტანდარტებთან შესაბამისობაში არსებული გზების უზრუნველყოფა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		350,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება უშუალოდ ქალაქ ნინოწმინდის საკანალიზაციო სისტემის მიწოდების ხელშეწყობა, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საკანალიზაციო სისტემის ექსპლოატაციაზე გახარჯული ღირებულების გადახდა. -ქ. ნინოწმინდის ქუჩების სანიაღვრე არხების მოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	ხარისხიანი საკანალიზაციო სისტემით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		160.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის და ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას (160,0 ათასი ლარი). გარე განათების რეაბილიტაცია საექსპერტიზო მომსახურება.		
მოსალოდნელი შედეგი	განათებული ტერიტორია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		82,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წინოწმინდის მუნიციპალიტეტის კომუნალური კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. წინოწმინდაში, ასევე 30 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რიტუალების სახლების, კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია და სპორტული დარბაზის მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 01		973,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, -სოფ. განძის, სპორტული დარბაზების მშენებლობა (მესამე ეტაპი) -ქ. წინოწმინდის-2 სოფ. ოროჯალარის, სოფ. სათხის, სოფ. დიდი ხანჩალი, სოფ. ტამბოვკის, სოფ. თორია მინი სპორტული მოედნების მშენებლობა რეობილიტაცია. - სოფ. ჟდანოვკანის საბავშვო ბაღის მშენებლობა. - სოფ. ჯიგრაშენის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)და კეთილმოწყობა.		



	- სოფ. რადიონოვკაში საბავშვო ბაღის მშენებლობა. - ტურისტებისათვის დასასვენებელი ზონის მოწყობა (პუშკინის ქ #49 ის მიმდებარედ). - ქ. ნინოწმინდის , სპორტული დარბაზების მშენებლობა. - სოფ. პ. ხანჭალის საბავშვო ბაღის მშენებლობა. - სოფ. კულალისის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	შედეგიანი ჩატარებული კეთილმოწყობითი ღონისძიებები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 08		200,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ საშენებლო ნორმებს (სტანდერტებს)		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 350,0 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები და მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	350,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	325,0



03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	25,0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანას	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		325,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კომუნალური კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორიცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კომუნალური კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახური		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქის ნინოწმინდის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		25,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კომუნალური კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მოწყვეა, შეწამლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ ნინოწმინდის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 5 სამტატო ერთეულისა და ხელშეკრულებით აყვანილ პირთა ხელფასების დაფინანსება.		
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მოწყვეა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეღვითი სამუშაოები.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 899.0 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
04 00	განათლება	899.0
04 01	ა(ა)იპ საბავშვო ბაღი 'წიწერნაკ'	823.0
04 02	ა(ა)იპ საბავშვო ბაღი 'მნძალიკ'	76.0
04 03	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	-

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		823.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საბავშვო ბაღი 'წიწერნაკ'		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 11 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 880-ზე მეტი ბავშვი. ბავშვბაღებში ჯამში დასაქმებულია 68 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბავშვბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბავშვბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ბავშვბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბავშვბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ბავშვბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ საბავშვო ბაღი 'წიწერნაკ' თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა		



მოსალოდნელი შედეგი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - საბავშვო ბაღი 'წიწერნაკ' დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 880-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 55 %-ს შეადგენს
--------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი 04 02	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება 76.0	დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საბავშვო ბაღი ‘მნძალიკ’		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 130-ზე მეტი ბავშვი. ბავა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 9 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბავა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბავა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ბავა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბავა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა; ბავა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ საბავშვო ბაღი ‘მნძალიკ’ თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა		
მოსალოდნელი შედეგი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - საბავშვო ბაღი ‘მნძალიკ’ დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 130-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 65 %-ს შეადგენს		

ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	823,0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	290,0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	290,0
05 01 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	110,0
05 01 01 02	ა (ა) იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება ნინოწმინდის კომპლექსური სასპორტო სკოლა	180,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	347,0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	347,0
05 02 01 01	ა (ა) იპ-ნინოწმინდის კულტურის ცენტრი	116,0
05 02 01 02	ა (ა) იპ-ნინოწმინდის მთავარი ბიბლიოთეკა	70,0
05 02 01 03	ა (ა) იპ-ნინოწმინდის სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულება	50,0
05 02 01 04	ა (ა) იპ-ნინოწმინდის სამუსიკო სკოლა	75,0
05 02 01 05	ა (ა) იპ-ნინოწმინდის ვაჰან ტერიანის სახელე-მუზეუმი	16,0
05 02 01 06	ა (ა) იპ-ნინოწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	20,0
05 03	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	80,0
05 04	ტრადიციული და კალენდარული დღესასწაულების ღონისძიებები	26,0
05 05	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	23,0
05 06	ინტელექტ-ჩემპიონატი «ეტელონი 2016»	3,0
05 07	რელიგია	54,0



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01 01		110.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება; პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადი და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადი, სპორტ ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული და სხვა; ფულადი და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებულია ახალგაზრდა წარმატებული და ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება ნინოწმინდის კომპლექსური სასპორტო სკოლა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01 02		180,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „ნინოწმინდის კომპლექსური სასპორტო სკოლა“-ს 200-მდე სპორტსმენის დაფინანსებას. გაერთიანება მოიცავს სპორტის 12 სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საჭირო პირობების შექმნას, საფეხბურთო კლუბი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები მათ შორის: ფრენბურთი, მ. ჩოგბურთი, სასკოლო ოლიმპიადი, კარატე, ფუტსალი, მკლავჭიდი, ფეხბურთი, ჭადრაკი, სათხი, ჭიდაობა .		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება ჯანსაღი სპორტული წესით და სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მათი ჩართულობის ზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის კულტურის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		116,0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება, მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება და ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ა (ა) იპ „კულტურის ცენტრი“-ს მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება. კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის მთავარი ბიბლიოთეკა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		70,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის მოთხოვნების ინტერესების შესწავლას და ანალიზს, მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა.მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ასევე ბიბლიოთეკა ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: ქალაქის და სოფლის ბიბლიოთეკების ხელშეწყობას; წიგნადი ფონდის შევსებას თანამედროვე ლიტერატურით და დაკომპლექტებას ყველა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, ითვალისწინებს კულტურული ობიექტების მოძიებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ნინოწმინდის მთავარი ბიბლიოთეკა“ სადაც ხდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება, დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა. ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.		
მოსალოდნელი შედეგი	საბიბლიოთეკო წიგნების ფონდის განახლების გზით მოსახლეობის წიგნებისადმი დაინტერესება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 03		50,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება, მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება.		



მიზანი	ქალაქ ნინოწმინდაში ფუნქციონირებს სკოლის გარეშე აღზრდის დაწესებულება, სადაც ფუნქციონირებს სხვადასხვა წრე, მათ შორის სამხატვრო, ქარგვის, ქსოვის, კერვის და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება. კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 04		75,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება, მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება, მუსიკალური კუთხით განვითარება. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 160 მოსწავლე. პროგრამის მიზანია მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამუსიკო განათლება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუსიკის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება. მუსიკალური ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის ვაჰან ტერიალის სახელე-მუზეუმი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 05		16,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სოფელ განძის ვაჰან ტერიალის სახელობის მუზეუმი.		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება.კულტურულ ღონისძიებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 06		20,0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ქ. ნინოწმინდაში ფუნქციონირებს „მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება თანამშრომელთა ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება. კულტურულ ღონისძიებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		80,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის პროგრამით განხორციელდება განცხადებებისა და ინფორმაციის გამოქვეყნება პრესაში, ტელევიზიასა და ინტერნეტ პორტალებში, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას. დაფინანსდება სატელევიზიო გადაცემა . პროგრამის ფარგლებში ფინანსდება პრესა და ადგილობრივი ტელევიზია, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ცნობიერებას.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფორმაციის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. საინფორმაციო პროგრამებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტრადიციული და კალენდარული დღესაწაულების ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 04		26.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება და სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობა: • საზეიმო ღონისძიებები, მიძღვნილი დედისა და საერთაშორისო ქალთა დღისადმი. (სახვითი ხელოვნებისა და ხელსაქმის გამოფენა, თემატური კონცერტი, მხატვრული კითხვის კონკურსი). • კონკურსის მუნიციპალური ეტაპი „საქართველო ჩემო სამშობლო“ თემაზე • ქალთა საერთაშორისო დღე მრავალშვილიან დედებთან შეხვედრის ორგანიზება სომხური ნამცხვარი „ქად“-ის ფესტივალი • სომხური ნამცხვარი „ქად“-ის ფესტივალი (უკეთესი ნამუშევრების დაჯილდოება– 400 ლარი) • „ ძალა ერთობაშია“ – საზეიმო ღონისძიებები, მიძღვნილი საქართველოს გაერთიანების დღისადმი (საზეიმო სვლა ქ.ნინოწმინდა, ჰაიოს - ქართლოს პარკის მემორიალთან, ყვავილებით და გვირგვინებით შემკობა, თემატური კონცერტი)		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	• სვლა სომეხი ხალხის გენოციდის მსხვერპლთა ძეგლთან, ყვავილებითა და გვირგვინებით შემკობა • საზეიმო სვლა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ძეგლთან ქალაქის პარკში, ყვავილებისა და გვირგვინების შემკობა • ღონისძიებები, მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი – საზეიმო შეკრება და კონცერტი, სახვითი ხელოვნების კონკურსი –გამოფენა , კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება სიგელებით და საჩუქრებით • „სათხა – მამულის დაცვის ციხე-სიმაგრე“ სოფლის დღესასწაული. • ზაფხვითა დაცვის საერთაშორისო დღესასწაულთან დაკავშირებით ღონისძიებები (საზეიმო, გასართობი ღონისძიებები საბავშვო ბაღებში, საბავშვო ბაღების აღსაზრდელების კონცერტი კულტურის ცენტრში, მრავალშვილიანი ოჯახებზე დახმარების გაწევის აქციის ორგანიზება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრების გამოფენა სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებაში, • სოფ. სპასოვკაში დღესასწაული „ ღორჯომელობა“-ს გატარება, • ვ.ტერიანის პოეზიის ტრადიციული დღეები სოფ. განძაში – სოფლის საზეიმო გაფორმება, პოეტის სახლ–მუზეუმის გასუფთავება და კეთილმოწყობა, ტერიანის პოეზიის მხატვრული კითხვის კონკურსი, ტერიანის ლექსებით შექმნილი სიმღერების კონკურსი, კონკურსი „ვ.ტერიან სახვით ხელოვნებაში“, ტერიანის ალბომის გამოცემა, ტერიანის სტატიების კრებულის გამოცემა, საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებიდან და სომხეთიდან ჩამოსული სტუმრების გამასპინძლება, • ეთნოგრაფიული ფესტივალი „ფუმეობა“ • სიმღერის ფესტივალი – (ფესტივალში მონაწილეთა ტრანსპორტირება სოფლებიდან, საუკეთესო მომღერლების დაჯილდოება სიგელებით და საჩუქრებით) • ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის“ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების უფროსკლასელთა შორის. (კონკურსში მონაწილეთა ტრანსპორტირება სოფლებიდან, გამარჯვებული გუნდების დაჯილდოება სიგელებით, დიპლომებით და საჩუქრებით • მუნიციპალური ახალგაზრდული აქცია „ისტორიულ და კულტურულ ძეგლთა გასუფთავებისა და კეთილმოწყობის კვირა“ • ვიქტორ ჰოვსეფიანის პოეზიის დღე სოფ.ეშტიაში, • „ქალაქის დღესასწაული“ (ქალაქის საზეიმო გაფორმება, სხვადასხვა გამოფენების ორგანიზება, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეთა დაჯილდოება, საპატიო სტუმრების გამასპინძლება). • მხატვრული კითხვის ფესტივალი • სახვითი ხელოვნების კონკურსი - გამოფენა „ოქრო შემოდგომა“ (სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებაში) • სომხური და ქართული ნაციონალური სამზარეულოს ფესტივალი – საუკეთესო ნიმუშების დაჯილდოება სიგელებით, დიპლომებით და საჩუქრებით • საზეიმო ღონისძიებები, მიძღვნილი მასწავლებლის დღისადმი (მუნიციპალიტეტის მასწავლებლების შეკრება, საუკეთესო მასწავლებლების პატივისცემა და წახალისება • ცეკვის ფესტივალი – (ფესტივალში მონაწილეთა ტრანსპორტირება სოფლებიდან, საუკეთესო მოცეკვავეთა დაჯილდოება სიგელებით და საჩუქრებით) • სომხური და ქართული ლიტერატურული მეგობრობის საღამო • სომხეთში მიწისძვრის შედეგად მსხვერპლთა ხსოვნისადმი ყვავილების დადგმა ქ.ნინოწმინდის სურბ სარგის ეკლესიის ტერიტორიაში არსებულ მემორიალთან - საახალწლო და საშობაო ღონისძიებები
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის, სპორტის, გენდერული თანასწორობის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და განვითარება. კულტურული, სპორტის, გენდერული თანასწორობის ღონისძიებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 05		23.0
